

## მუხლი 1003. ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება

ცხოველის მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მისმა ცხოველმა სხვას მიაყენა. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, ცხოველი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, დაკარგული იყო, თუ გაქცეული. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ გამოიყენება, როცა ცხოველის მფლობელმა მიიღო აუცილებელი ზომები მესამე პირთა დასაცავად.

I. ნორმის მიზანი და რეგულირების სფერო.....	1
II. ცხოველის მიერ მიყენებული ზიანი.....	1
1. ცხოველი.....	1
2. ზიანის მიყენება ცხოველის მიერ.....	2
III. ცხოველის მფლობელი.....	2
IV. ცხოველის მფლობელის პასუხისმგებლობის საფუძვლები.....	3

### I. ნორმის მიზანი და რეგულირების სფერო

1003-ე მუხლი წარმოადგენს ცხოველის მფლობელის გულისხმიერების კანონის მიერ კონკრეტიზაციას. ცხოველის მფლობელის პასუხისმგებლობა მის მფლობელობაში მყოფი ცხოველისათვის შეიძლება გამომდინარეობდეს ზოგადი დელიქტიდანაც (992). ნორმა აკანონებს ცხოველის მფლობელობასთან დაკავშირებული ვალდებულების შინაარსს, რომელიც სცილდება ცხოველის უბრალო მეთვალყურეობის ვალდებულებას და გამოიხატება ცხოველის მიერ გამოწვეული ზიანის რისკების გაუვნებელყოფაში. 1003-ე მუხლის საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრებისას, სასამართლო პირდაპირ ციტირებს 992-ე მუხლით გათვალისწინებულ წინაპირობებს: ა) ზიანის მიმყენებლის არამართლზომიერი მოქმედება ან უმოქმედობა; ბ) არამართლზომიერ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი; გ) ზიანის მიმყენებლის ბრალი.<sup>1</sup> 1003-ე მუხლი, გერმანული სამოქალაქო კოდექსის ანალოგიური ნორმისგან განსხვავებით,<sup>2</sup> ჩამოყალიბებულია ბრალეული პასუხისმგებლობის ფორმით. თუმცა, ნორმა ასევე ითვალისწინებს ბრალის მტკიცების ტვირთის შებრუნებას დაზარალებულის სასარგებლოდ. ნორმებს შორის არსებული აშკარა ურთიერთკავშირის მიუხედავად, 1003-ე მუხლი შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი, 992-ე მუხლის პარალელურად.

### II. ცხოველის მიერ მიყენებული ზიანი

#### 1. ცხოველი

სიტყვა „ცხოველს“ უნდა მიენიჭოს ფართო ინტერპრეტაცია. 1003-ე მუხლის მიზნებისათვის ცხოველად შეიძლება მოვიაზროთ ნებისმიერ შინაური (მაგ. ძაღლი,

<sup>1</sup> შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 23 ოქტომბრის N ას-447-423-2013 განჩინება.

<sup>2</sup> შდრ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, § 833.

ცხენი, ცხვარი) თუ გარეული (მაგ. დათვი, ლომი, შევარდენი), გაწვრთნილი თუ გაუწვრთნელი ცხოველი,<sup>3</sup> ასევე მწერები (მაგ. ფუტკარი).

## 2. ზიანის მიყენება ცხოველის მიერ

3 ნორმა მიუთითებს ცხოველის მიერ მიყენებულ ზიანზე. ბუნებრივია, ცხოველის მოქმედება სამართლებრივი თვალსაზრისით არარელევანტურია. ამ მუხლის მიზნებისთვის ცხოველი უნდა განხილულ იქნას, როგორც საფრთხის შემცველი მატერიალური ობიექტი. შეფასების საგანს წარმოადგენს ცხოველთან დაკავშირებული, ცხოველის ქცევის არაპროგნოზირებადი ხასიათიდან გამომდინარე, ტიპური საფრთხის რეალიზება.<sup>4</sup> მაგალითად, ძაღლის კბენა, ცხენის წიხლი, სამოვარზე საქონლის მიერ სხვისი ბოსტნის გათელვა, და ა. შ. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს ემორჩილება ცხოველი მფლობელის ნებას თუ არა. ცხოველის მიერ ზიანის გამოწვევაზე შეიძლება საუბარი მაშინაც იყოს, როდესაც ცხოველი მოქმედებით არ აყენებს ზიანს, არამედ არის მხოლოდ ზიანის მიყენების არაპირდაპირი წყარო. მაგალითად, თავლიდან გაქცეული ცხენის მიერ გზის გადაჭრისას გამოწვეული ავარიაც უნდა მივიჩნიოთ ცხოველის მიერ გამოწვეულ ზიანად.

4 თუ ცხოველი მფლობელის ნებას ემორჩილება და მფლობელი მას ზიანის მიყენების ინსტრუმენტად იყენებს (მაგ. ძაღლის წაქეზება კბენაზე), ეს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ცხოველის მფლობელის მიერ ზიანის განზრახ მიყენება, რომელიც იწვევს ზიანის მიმყენებელი პირის პასუხისმგებლობა 992-ე მუხლის შესაბამისად. 1003-ე მუხლი ცხოველის მფლობელის მეთვალყურეობის და ცხოველთან დაკავშირებული საფრთხეების გაუვნებელყოფის ვალდებულების დარღვევას ეხება, რომელსაც შედეგად მოჰყვა ცხოველთან დაკავშირებული სპეციფიური საფრთხის რეალიზება.

## III. ცხოველის მფლობელი

5 შემთხვევითი არ არის, რომ 1003-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება ცხოველის მფლობელზე და არა მის მესაკუთრეზე, ან იმ პირზე, რომელიც კონკრეტულ მომენტში მეთვალყურეობდა ცხოველს. 1003-ე მუხლის მიზნებისათვის, ცხოველის მფლობელობა არ უნდა გაიგივდეს მფლობელობასთან 155-ე მუხლის ვიწრო გაგებით. აღნიშნული მიდგომა გამომდინარეობს დელიქტური სამართლის ზოგადი პრინციპიდან, რომლის მიხედვით პირი, რომელიც ფლობს და სარგებელს იღებს საფრთხის შემცველი ობიექტის ფლობით, ვალდებულია იზრუნოს ამ ობიექტიდან გამომდინარე საფრთხეების კონტროლსა და მესამე პირების ამგვარი საფრთხეებისგან დაცვაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცხოველის მფლობელი შეიძლება განიმარტოს შემდეგნაირად - ცხოველის მფლობელი არის პირი, რომელსაც გააჩნია ცხოველის განკარგვის უფლებამოსილება, საკუთარი ინტერებიდან

<sup>3</sup> *Sprau*, in Palandt BGB Komm., 70 Aufl., § 833, Rn. 5.

<sup>4</sup> *Sprau*, in Palandt BGB Komm., 70 Aufl., § 833, Rn. 6.

გამომდინარე ფარავს ცხოველთან დაკავშირებულ ხარჯს, იღებს სარგებელს და ატარებს ცხოველის დაკარგვის მატერიალურ რისკს.<sup>5</sup>

#### IV. ცხოველის მფლობელის პასუხისმგებლობის საფუძვლები

ცხოველის მფლობელს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ზიანის 6 თავიდან აცილების და ცხოველის მეთვალყურეობის ვალდებულების ბრალეული დარღვევისათვის. მფლობელის ვალდებულების შინაარსი უნდა დადგინდეს კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ცხოველის მფლობელს, რომელსაც აშენებული ჰქონდა ღობე, სათანადოდ ჰქონდა შესრულებული გულისხმიერების ვალდებულება. ვინაიდან ცხოველის მოსარჩელის კუთვნილ ნაკვეთში მოხვედრა გამოიწვია მესამე პირის მიერ ღობის მონაკვეთის დაზიანებამ, ცხოველის მფლობელი არ აგებდა პასუხს 1003-ე მუხლის მიხედვით. სასამართლომ მიიჩნია, რომ 1003-ე მუხლის შესაბამისად პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის საჭიროა, სახეზე იყოს ცხოველის მფლობელის გაუფრთხილებლობა და ცხოველის მფლობელზე პასუხისმგებლობის უპირობო დაკისრება დაუშვებელია. მით უფრო, როდესაც ცხოველთან დაკავშირებული საფრთხის რეალიზება გამოიწვია მესამე პირის ქმედებამ.<sup>6</sup>

---

<sup>5</sup> შდრ. BGH NJW-RR 88, S. 655.

<sup>6</sup> შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 28 ივნისის N 3კ-482-02 განჩინება.